

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო
საზოგადოება



ISFED

2008 წლის, 3 ნოემბრის აჭარის ა/რ

უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის
შუალედური არჩევნების მონიტორინგის ანგარიში

ამ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „სამართლიან არჩევნებს“ და არ გამოხატავს
ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციისა (ეუთო) და საქართველოში
ბრიტანეთის საელჩოს ოფიციალურ პოზიციას.

სარჩევი

1. შესავალი
2. ორგანიზაციის შესახებ

ა. აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს არჩევნები

3. საკანონმდებლო ჩარჩო
4. საარჩევნო სუბიექტებისა და დამკვირვებლების რეგისტრაცია
5. ორგანიზაციის ძირითადი საარჩევნო საქმიანობების მოკლე მიმოხილვა
6. წინასაარჩევნო პერიოდი
7. საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მობილიზება
8. არჩევნების დღე
9. არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგი
10. აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს განმეორებითი არჩევნების მონიტორინგი
11. მედია ანგარიში

ბ. საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები

12. დასკვნა
13. რეკომენდაციები

შესავალი

2008 წლის 4 აგვისტოს, საქართველოს პრეზიდენტის # 539-ე განკარგულებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნები და პარლამენტის 2008 წლის 21 მაისის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით # 2 ვაკისა და # 8 დიდუბის საარჩევნო ოლქების არჩევნები, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტისა და 241 მუხლის შესაბამისად, 2008 წლის 4 ოქტომბერს დაინიშნა. თუმცა, რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემდეგ, 2008 წლის 9 აგვისტოს, პრეზიდენტ სააკაშვილის ბრძანებულებით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადდა საომარი მდგომარეობა (საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 98-ე მუხლის და მე-100 მუხლის პირველი პუნქტის, „საომარი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „მოზილიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად), რამაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გამოიწვია არჩევნების გადადება საომარი მდგომარეობის გაუქმებამდე, რომლის მოქმედების ვადაც განისაზღვრა 15 დღით.

საომარი მდგომარეობის გაუქმებისთანავე, საქართველოს პრეზიდენტმა 2008 წლის 5 სექტემბერს # 578 და # 579 განკარგულებების თანახმად, დაინიშნა აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 21 მაისის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით # 2 ვაკისა და # 8 დიდუბის საარჩევნო ოლქების არჩევნები. კანონმდებლობის შესაბამისად¹, არჩევნების თარიღად გამოცხადდა 2008 წლის 3 ნოემბერი.

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ იმთავითვე გამოხატა მზადყოფნა დაკვირვებოდა საარჩევნო პროცესებს, როგორც აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ისე # 2 ვაკისა და # 8 დიდუბის საარჩევნო ოლქებში. „სამართლიანმა არჩევნებმა“ მოზილიზება გაუკეთა ორგანიზაციის გრძელვადიან დამკვირვებლებს და აქტიურად დაიწყო წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი.

„სამართლიანმა არჩევნებმა“ განახორციელა წინადაარჩევნო პერიოდის, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგი, ამასთანავე განახორციელა აქტივობის პარალელური დათვლა აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის. ორგანიზაციის დამკვირვებლებმა შეავსეს არჩევნების დღის მონიტორინგის სტანდარტული ფორმები, რასაც ეყრდნობა ორგანიზაციის არჩევნების დღის საბოლოო ანალიზი.

არჩევნების დღეს ორგანიზაციამ შეიტანა 61 საჩივარი საუბნო, საოლქო და უმაღლეს საარჩევნო კომისიებში. გარდა ამისა „სამართლიანმა არჩევნებმა“ განახორციელა მონიტორინგი აჭარის უმაღლესი საბჭოს განმეორებით არჩევნებზე, რომელიც ჩატარდა 2008 წლის 16 ნოემბერს - პროპორციული

¹ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, არჩევნები ინიშნება საომარი მდგომარეობის გაუქმებიდან მე-60 დღეს;

სისტემით, ხოლო 2008 წლის 14 დეკემბერს - მაჟორიტარული სისტემით. განმეორებით არჩევნების დროს „სამართლიანმა არჩევნებმა“ შეიტანა სულ 2 საჩივარი.

„სამართლიანი არჩევნები“ ასევე დააკვირდა საქართველოს პარლამენტის შუალედურ არჩევნებს # 2 ვაკისა და # 8 დიდუბის საარჩევნო ოლქებში. შუალედურმა არჩევნებმა ჩაიარა მშვიდ გარემოში, შესაბამისად ორგანიზაციას არ შეუტანია არცერთი საჩივარ-განცხადება.

არსებულ ხარვეზებზე დაყრდნობით, რაც გამოვლინდა საარჩევნო მისიის განხორციელების დროს, ორგანიზაციამ შეიმუშავა რეკომენდაციები მომავალი არჩევნების გაუმჯობესების მიზნით.

ორგანიზაციის შესახებ

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება - ISFED, არის არასამთავრობო, არაპარტიული, არამომგებიანი, მიუკერძოებელი ორგანიზაცია, რომელსაც დაარსებიდან (1995) დღემდე, განხორციელებული აქვს საქართველოში ჩატარებული ყველა სახის არჩევნების ფართომასშტაბიანი მონიტორინგი. ამასთან, ორგანიზაციის წევრები მონაწილეობდნენ საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებში და განახორციელეს არჩევნების მონიტორინგი: უკრაინაში, აზერბაიჯანში, სომხეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ყირგიზეთში, ალბანეთში, ყაზახეთსა და ნორვეგიაში. „სამართლიანი არჩევნები“ ერთადერთი ორგანიზაციაა საქართველოში, რომელმაც განახორციელა ხმებისა და აქტივობის პარალელური დათვლა ხუთ საერთო არჩევნებზე - 2003 წლის საპარლამენტო, 2004 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო და საპარლამენტო, 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობისა და 2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები. ხმებისა და აქტივობის პარალელური დათვლის საფუძველზე „სამართლიანმა არჩევნებმა“ საზოგადოებას მიაწოდა ობიექტური ინფორმაცია არჩევნების სამართლიანი შედეგების შესახებ.

არჩევნებთან დაკავშირებული საქმიანობის გარდა, ორგანიზაციას განხორციელებული აქვს დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობი სხვადასხვა პროექტები. ამ პროექტებმა ხელისუფლების საქმიანობის მონიტორინგითა და მათი ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის გზით ხელი შეუწყო მოქალაქეთა კანონიერი უფლებების დაცვას.

პირველად 2004 წლის ივნისში, მოგივანებით კი 2007 წლის აპრილში, „სამართლიანმა არჩევნებმა“ განაახლა ორგანიზაციის მისია და სტრატეგია, გამოკვეთა პრიორიტეტები და შეიმუშავა საქართველოში დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობი ახალი პროგრამები. სამართლიანი არჩევნების სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები 2007-2009 წლებისათვის არის: ხელისუფლების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულის გაზრდა; არჩევნების მონიტორინგი და საარჩევნო პროცესების გაუმჯობესება საქართველოში; საარჩევნო უფლებების დაცვა; საერთაშორისო დემოკრატიულ ინსტიტუტებთან ინტეგრაცია და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ აღიარებული პრინციპების დაწესების ხელშეწყობა.

სრული ინფორმაცია, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ საქმიანობების შესახებ, შეგიძლიათ იხილოთ ქართულ და ინგლისურ ენაზე, ორგანიზაციის ვებ-გვერდზე: www.isfed.ge

ა.

აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს არჩევნების

საკანონმდებლო ჩარჩო

საარჩევნო სისტემა და არჩევნების დანიშვნა

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი არჩევნებისა და საარჩევნო პროცედურების შესახებ - "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ წარმოადგენდა არჩევნების მომზადებისა და ჩატარების კანონიერ საფუძველს.

კანონმდებლობის თანახმად, აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო შედგება 18 წევრისაგან, რომელთაგან 12 წევრი აირჩევა პროპორციული, ხოლო 6 - მაჟორიტარული სისტემით.

საარჩევნო კანონმდებლობა

2008 წლის 3 ნოემბრის აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარება განსაზღვრა შემდეგმა ნორმატიულმა აქტებმა:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „პოლიტიკური პარტიების შესახებ“;
- „სისხლის სამართლის კოდექსის“ შესაბამისი მუხლები;
- „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ შესაბამისი მუხლები;
- უმაღლესი საარჩევნო კომისიის დადგენილებები და განკარგულებები.

საარჩევნო სუბიექტებისა და დამკვირვებლების რეგისტრაცია

საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია

არჩევნების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 57-ე დღისა, კერძოდ 7 სექტემბერს², უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ დაასრულა უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მსურველ პოლიტიკურ პარტიათა განაცხადების მიღება. უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრაცია გაიარა და პარტიული სიები წარადგინა სულ რვა პოლიტიკურმა პარტიამ, ესენია: „ქართული დასი“, „გიორგი თარგამაძე-ქრისტეან დემოკრატები“, „ჩვენ თვითონ“, „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, „ქართული პოლიტიკა“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია“. ამთგან მხოლოდ ერთადერთი - კომუნისტური პარტია იყო ისეთი, რომელიც არ იყო რეგისტრირებული უმაღლეს საარჩევნო კომისიაში. შესაბამისად, აღნიშნულ პარტიას მიეცა 1 კვირიანი ვადა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები აქტიური საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეთა არანაკლებ 3 000 მხარდამკერის ხელმოწერების³ შესაგროვებლად.

პოლიტიკურმა გაერთიანებამ - „ჩვენი ქვეყანა“ განაცხადი დაგვიანებით შეიტანა, შესაბამისად უარი ეთქვა დარეგისტრირებაზე, უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ. რაც შეეხება საქართველოს რესპუბლიკურ პარტიას, მან უარი განაცხადა აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობაზე.

არჩევნებამდე 30 დღით ადრე, 4 ოქტომბერს, უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ წილისყრით განსაზღვრა საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრები⁴. ორმა პოლიტიკურმა პარტიამ - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „გიორგი თარგამაძე-ქრისტეან დემოკრატები“, განცხადებით მიმართა უმაღლეს საარჩევნო კომისიას და შეინარჩუნა ძველი ნომრები, ხოლო დანარჩენ პარტიებს შორის რიგითი ნომრები შემდეგნაირად გადანაწილდა:

1. საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია (სეკვ);
2. პოლიტიკური გაერთიანება „ქართული დასი“;
3. პოლიტიკური გაერთიანება „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ (მგს);
4. პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენ თვითონ“;
5. პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;
6. საქართველოს კონსერვატიული პარტია;
7. პოლიტიკური გაერთიანება „ქართული პოლიტიკა“;

² აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“, მუხლი 44, პუნქტი 1;

³ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“, მუხლი 44, პუნქტი 4²

⁴ საქართველოს ორგანული კანონი «საქართველოს საარჩევნო კოდექსი», მუხლი 99; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“, მუხლი 80, პუნქტი 5.

8. პოლიტიკური გაერთიანება „გიორგი თარგამაძე-ქრისტინ დემოკრატები“.

დამკვირვებელთა რეგისტრაცია

საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით, კერძოდ საქართველოს ორგანული კანონის - “საქართველოს საარჩევნო კოდექსისა” და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის - „აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ მიხედვით, არჩევნების პროცესებზე დაკვირვების უფლება აქვს ნებისმიერ ადგილობრივ და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციას, რომელიც აკმაყოფილებს საარჩევნო კანონით დადგენილ პირობებს და რეგისტრაციას გაივლის საარჩევნო ადმინისტრაციაში.

15 ოქტომბრის მონაცემებით აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრაცია გაიარა სამმა საერთაშორისო ორგანიზაციამ:

1. საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი;
2. ბრიტანეთის საელჩო საქართველოში;
3. საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი.

და რვა ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ:

1. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება;
2. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
3. სიმართლისა და სამართლის, ჩაგრულთა და პატიმართა უფლებების დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია;
4. მიუსაფართა და პატიმართა დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია;
5. ახალგაზრდა ჟურნალისტთა ასოციაცია;
6. ახალი თაობა - ახალი ინიციატივა;
7. ფონდი „სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი“;
8. საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“.

სამართლიანი არჩევნების ძირითადი საარჩევნო საქმიანობების მოკლე

მიმოხილვა⁵

საარჩევნო პერიოდამდე და წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში, „სამართლიანი არჩევნები“ ახორციელებდა სხვადასხვა საარჩევნო საქმიანობებს. ეს საქმიანობები მიზნად ისახავდა ამომრჩეველთა ცოდნის დონის ამაღლებას საარჩევნო საკითხებთან და ამომრჩეველთა სიებთან მიმართებაში, ასევე არჩევნების დღისა და საარჩევნო ვადებთან მიმართებაში. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ორგანიზაციამ განახორციელა შემდეგი პროექტები:

- პროექტის სახელწოდება: საქართველო: 2008 წლის არჩევნები, ამომრჩეველთა სიების დახვეწა

დონორი ორგანიზაცია: ევროპის საბჭო (CoE) და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OSCE)

განხორციელებული საქმიანობები: პროექტი შედგებოდა სამი ფაზისაგან და განხორციელდა საქართველოს 75 საარჩევნო ოლქში, გარდა კონფლიქტური ზონებისა. პროექტის პირველი ფაზა წარმოადგენდა ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანიას, რომლის ფარგლებში ორგანიზაციამ საზოგადოებას მიაწოდა სრულყოფილი ინფორმაცია საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული კარ-და-კარ სიების გადამოწმების კამპანიის შესახებ. ასევე, თუ როდის და როგორ შეემლოთ მათ გადამოწმებინათ საკუთარი მონაცემები ამომრჩეველთა სიებში; პროექტის მეორე ფაზის ფარგლებში „სამართლიანმა არჩევნებმა“ განახორციელა საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული კარ-და-კარ ამომრჩეველთა სიების დახვეწის სრული პროცესის მონიტორინგი; პროექტის მესამე ფაზა წარმოადგენდა ამომრჩეველთა სიების სრულყოფილ აუდიტს, რომლის დროსაც გამოყენებულ იქნა რეპრეზენტატული რაოდენობის შერჩევა ქვეყნის მასშტაბით. ამ ფაზის შედეგად ორგანიზაციამ დაადგინა ამომრჩეველთა სიების საერთო ხარისხი საქართველოში.

⁵ „სამართლიანი არჩევნები“ ამ საქმიანობებს ახორციელებდა 2008 წლის აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დანიშვნამდეც, როგორც ორგანიზაციის ძირითად საქმიანობების ნაწილს.

- ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანია

დონორი ორგანიზაცია: ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოში (EC), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)

განხორციელებული საქმიანობები: „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან თანამშრომლობით, განახორციელა ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანია. პროექტის ფარგლებში ორგანიზაციებმა განახორციელეს ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ამომრჩეველთათვის, რომელიც განხორციელდა სამი მიმართულებით:

1. **მედია კამპანია** - განმახორციელებელმა ორგანიზაციებმა დაამზადეს და ტელევიზიებისა და რადიოების მეშვეობით გაავრცელეს ოთხი ვიდეო და აუდიო რგოლი: გადაამოწმე საკუთარი თავი ამომრჩეველთა სიაში, ინფორმაცია ავტო-ტურების შესახებ, არჩევნების დღის პროცედურები და „წადი არჩევნებზე“;
2. **ცხელი ხაზი** - წინა-საარჩევნო პერიოდში ორგანიზაციებმა ამოქმედეს ცხელი ხაზები, სადაც ტელეფონის საშუალებით ხდებოდა მოქალაქეთა ინფორმირება მათთვის საინტერესო, არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე;
3. **ავტო-ტურები** - „სამართლიანმა არჩევნებმა“ და საიამ ორგანიზება გაუკეთეს ავტო-ტურებს (სულ 18 შეხვედრა) აჭარის ა/რ-ის 6 საარჩევნო ოლქში. ორგანიზაციების მოხალისეებმა დეტალურად გააცნეს ადგილობრივ მოსახლეობას არჩევნების მნიშვნელობა, ერთდროულად რეგიონის სხვადასხვა ოლქებში. ამასთანავე, მათ გაითამაშეს არჩევნების დღის როლური თამაშები, რომელშიც თავად ადგილობრივი მოსახლეობა იყო ჩართული. ყოველივე ამან გაზარდა საზოგადოების ცოდნის დონე არჩევნების დღის პროცედურებთან დაკავშირებით.

წინასაარჩევნო პერიოდი

2008 წლის 3 ნოემბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის არჩევნებისთვის, „სამართლიანი არჩევნების“ წინასაარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ მოიცვა და დაფარა აჭარის რეგიონის ექვსივე საარჩევნო ოლქი. „სამართლიანი არჩევნების“ ოლქის დამკვირვებლები მუშაობდნენ ძირითადად სამი მიმართულებით. ესენია:

1. ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო ადმინისტრაციის მონიტორინგი სამივე დონეზე - უმაღლესი საარჩევნო კომისია, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები;
2. ამომრჩეველთა ერთიანი სიის განახლების პროცესის მონიტორინგი;
3. წინასაარჩევნო კამპანიის მონიტორინგი, ამომრჩევლებზე ზეწოლა, მოსყიდვა დაშინების ფაქტები.

ორგანიზაციამ წინასაარჩევნო დაკვირვება არჩევნების დანიშნვის დღიდან, 5 სექტემბრიდან დაიწყო. მონიტორინგის შედეგებს ორგანიზაცია პერიოდულად აცნობდა საზოგადოებას, როგორც ბრიფინგების, ასევე მედია განცხადებებისა და ელექტრონული საინფორმაციო ბიულეტენის - „საარჩევნო სიახლენის“ მეშვეობით. (2 გამოცემა).

საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით, აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარებასა და ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო ადმინისტრაცია, რომელიც საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენელი ნაწილია. აჭარის ა/რ-ის საარჩევნო ადმინისტრაცია სამდონიანია და შედგება უმაღლესი, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან.

წინასაარჩევნო პერიოდში, „სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა განხორციელეს მონიტორინგი საარჩევნო ადმინისტრაციის სამივე დონეზე, დააკვირდნენ თუ რამდენად კანონის დაცვითა და დადგენილ ვადებში განხორციელდა საარჩევნო გრაფიკით გათვალისწინებული ღონისძიებები.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის მონიტორინგი

არჩევნების გამოცხადების შემდეგ, უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ დაამტკიცა საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი. „სამართლიანი არჩევნები“ დააკვირდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ გრაფიკით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელებას. წარმოგიდგენთ მონიტორინგის შედეგებს:

უმაღლესი საარჩევნო კომისია დაკომპლექტებულია 13 წევრისაგან, რომელთაგან 6 უპარტიოა, ხოლო დანარჩენი 7 წარმოდგენილი არიან შემდეგი პოლიტიკური პარტიებისაგან: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, საქართველოს კონსერვატიული პარტია, პოლიტიკური გაერთიანება „მრეწველობა გადარჩენს საქართველოს“, საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია, პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენ თვითონ“, პოლიტიკური გაერთიანება „გიორგი თარგამაძე-ქრისტინ დემოკრატები“ და პოლიტიკური გაერთიანება „ქართული დასი“. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს რესპუბლიკურმა პარტიამ უარი განაცხადა არჩევნებში მონაწილეობაზე და მის ნაცვლად პარტია „ქართულ დასს“ მიეცა უფლება დაენიშნა თავისი წარმომადგენლები უსკო-ში.

წინასაარჩევნო პერიოდში უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომები რეგულარულად ტარდებოდა. სხდომებს ესწრებოდნენ კომისიის ყველა წევრი, თუმცა პარტიების მიერ დანიშნული კომისიის წევრები არ გამოირჩეოდნენ კომისიის საქმიანობაში აქტიური ჩართულობით და მათი საქმიანობა მხოლოდ სხდომაზე დასწრებით შემოიფარგლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ სხდომებზე ხშირად ხდებოდა განსხვავებული აზრის დაფიქსირება, გადაწყვეტილებების მიღება უმეტეს შემთხვევაში მაინც ერთსულოვნად ხდებოდა.

კანონით დადგენილ ვადაში, კერძოდ არჩევნებამდე არაუგვიანეს 41-ე დღისა, 23 სექტემბერს, უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით გამოაქვეყნა საარჩევნო უბნების ნომრები, მისამართები, ტელეფონის (ფაქსის) ნომრები და სხვა რეკვიზიტები.

მონიტორინგის პერიოდში, უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ ჩაატარა ფასთა კვოტირება, თუ სად დაიბეჭდებოდა საარჩევნო ბიულეტენები და გადაწყდა ბიულეტენების თბილისში დაბეჭდვა⁶. „სამართლიანი არჩევნები“ დააკვირდება საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ საარჩევნო ბიულეტენების ბეჭდვის პროცესს, ორგანიზაციის ორი აკრედიტირებული დამკვირვებლის მეშვეობით.

2008 წლის 11 სექტემბერს, უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ დაამტკიცა საარჩევნო ადმინისტრაციაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის წესების აღმწერი ინსტრუქცია. „სამართლიანმა არჩევნებმა“ განიხილა ინსტრუქცია და შესაბამისი რეკომენდაციები მიაწოდა უმაღლეს საარჩევნო კომისიას. კერძოდ: 1. ინსტრუქციის პირველ მუხლში საარჩევნო დოკუმენტაციის მიღების, გაცემისა და რეგისტრაციის ვადის⁷ დარეგულირება საქართველოს საარჩევნო კოდექსის შესაბამისად; 2. ინსტრუქციის 11 მუხლის მიხედვით, საჩივრის განხილვის დროს, თუ ერთ-ერთი მხარე რეგისტრირებული სადამკვირვებლო ორგანიზაციაა, მისი წარმომადგენელი შეიძლება მოწვეულ იქნას სხდომაზე. „სამართლიანი არჩევნების“ რეკომენდაციით კი მხარე არა თუ შეიძლება, არამედ აუცილებლად უნდა იქნას მოწვეული საჩივრის განხილვის დროს სხდომაზე. 2008 წლის 14

⁶ სტამბა „ვესტა - 07“;

⁷ ინსტრუქციაში გათვალისწინებული იყო განცხადება/საჩივრის შეტანა სამუშაო დღის 18:00 საათამდე, რაც აფერხებს არჩევნების დღეს საჩივრების მიღება/დარეგისტრირებას.

ოქტომბრის სხდომაზე უსკო-მ გაითვალისწინა ორგანიზაციის რეკომენდაციები და შეიტანა შესაბამისი ცვლილებები ინსტრუქციაში. „სამართლიანმა არჩევნებმა“ დადებითად შეაფასა უმაღლესი საარჩევნო კომისიის ეს გადაწყვეტილება.

11 სექტემბრის სხდომაზე უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ მიიღო # 48 განკარგულება, რომლის მიხედვითაც დადგინდა ვიდეოთვალის დამონტაჟება მხოლოდ # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქის საარჩევნო უბნებზე. 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ არჩევნების დროს პრობლემატურობით გამოირჩეოდა ქობულეთის, ქედის, ხელვაჩაურისა და ხულოს საარჩევნო ოლქები. სწორედ ამიტომ, 2008 წლის 7 ოქტომბერს „სამართლიანმა არჩევნებმა“ და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ უმაღლეს საარჩევნო კომისიაში შეიტანა განცხადება, რომელშიც სადამკვირვებლო ორგანიზაციები მოითხოვენ ვიდეოთვალის განთავსებას აჭარის ა/რ-ის ამ საარჩევნო ოლქებში. აღნიშნული განცხადება უსკო-მ განიხილა 11 ოქტომბრის სხდომაზე, სადაც შესაბამის სამსახურებს დაევალოთ ამ საკითხის ფინანსური და ტექნიკური კუთხით დეტალური შესწავლა. შედეგად, 2008 წლის 14 ოქტომბრის სხდომაზე დამტკიცდა ვიდეოთვალის განთავსება მხოლოდ # 81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის 14 საარჩევნო უბანზე (მხოლოდ იმ უბნებზე, რომლებიც ქ. ქობულეთის ტერიტორიაზე იყო განთავსებული). უსკო-ს განცხადებით დანარჩენ ოლქებში ვიდეოთვალის დაყენება შეუძლებელი იყო საკმარისი თანხების არარსებობის გამო.

შერჩევის პროცესი, სადაც ვიდეოთვალი უნდა განთავსებულიყო, არ იყო გამჭვირვალე. წინა გამოცდილებაზე დაყრდნობით, „სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევდა, რომ აჭარაში, კერძოდ ქობულეთისა და ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქებში დაფიქსირდა უფრო მაღალი დარღვევების რიცხვი, ვიდრე ბათუმში. სწორედ ამიტომ ვიდეოთვალი უნდა დამონტაჟებულიყო სწორედ ამ საარჩევნო ოლქებში.

„სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევს, რომ არჩევნების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, სასურველი იქნებოდა უსკო-ს სრულად გაეთვალისწინებინა სადამკვირვებლო ორგანიზაციების რეკომენდაცია.

აღსანიშნავია, უმაღლესი საარჩევნო კომისიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საქმიანობაც. წინასაარჩევნო პერიოდში საქმიანობის განხორციელებისას, ხარვეზები ამ კუთხითაც შეინიშნებოდა, კერძოდ იყო რამოდენიმე შემთხვევა, როდესაც არ მოხდა დამკვირვებელ ორგანიზაციათა დროული ინფორმირება უსკო-ს სხდომებთან დაკავშირებით. თუმცა მოგვიანებით აღნიშნული პრობლემა გამოსწორდა. ასევე გარკვეული პრობლემები შეიმჩნეოდა საჯარო ინფორმაციის მიღებისას (ინფორმაციის მოთხოვნის დროს ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც უსკო ინფორმაციის მისაღებად ვებ-გვერდს ასახელებდა), მაგრამ ეს საკითხიც დროულად გამოსწორდა. რაც შეეხება უმაღლესი საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდს, ის მოკლებული იყო სრულყოფილ ინფორმაციას და არ ხდებოდა ახალი ინფორმაციით მისი სისტემატიური განახლება. „სამართლიანმა არჩევნებმა“

მოუწოდა უმაღლეს საარჩევნო კომისიას განსაკუთრებული ყურადღება მიექცია ვებ-გვერდის განახლებისთვის, რათა არ დავმდგარიყავით იმავე პრობლემის წინაშე, რაც დაფიქსირდა 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების დროს. კერძოდ, ეს ეხებოდა ვებ-გვერდზე შემაჯამებელი ოქმების დროულ განთავსებას, რაც სამწუხაროდ არ მოხდა საპრეზიდენტო არჩევნების დროს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდზე და რამაც გარკვეულწილად დაჩრდილა არჩევნების გამჭვირვალობის საკითხი.

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების მონიტორინგი

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები, მსგავსად უმაღლესი საარჩევნო კომისიისა დაკომპლექტებული იყო 13 წევრისგან, რომელთაგან 6 წევრი უპარტიო იყო, ხოლო დანარჩენი 7 წევრი დანიშნულნი პოლიტიკური პარტიებისგან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს რესპუბლიკურმა პარტიამ უარი განაცხადა აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობაზე, შედეგად საარჩევნო ოლქები და უბნები ვერ დაკომპლექტდა კანონის შესაბამისად. საარჩევნო კომისიის მეცამეტე წევრი კონკურსის საფუძველზე დაინიშნა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ. აქვე აღსანიშნავია, რომ # 80 ქედისა და # 82 შუახევის საარჩევნო ოლქებში არ მოხდა კომისიის მეცამეტე წევრთა შევსება, რადგან ამ ოლქებში არ ან არასწორად შევიდა განაცხადები საარჩევნო კომისიის წევრობაზე.

არჩევნებამდე არაუგვიანეს 55-ე დღისა⁸, კერძოდ 9 სექტემბერს, საოლქო საარჩევნო კომისიებმა შექმნეს საარჩევნო უბნები, დაადგინეს უბნის საზღვრები და ნომრები. იმავე დღეს საოლქო საარჩევნო კომისიებმა გამოაცხადეს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსი. საბუთების დასრულებისთანავე, არჩევნებამდე არაუგვიანეს 46-ე დღისა, კერძოდ 9-14 სექტემბრის განმავლობაში საოლქო საარჩევნო კომისიებმა აირჩიეს საუბნო საარჩევნო კომისიების 6-6 წევრი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზოგიერთ საარჩევნო უბანზე კომისიის თავმჯდომარეებად, მოადგილეებად და მდივანებად არჩეულ იქნენ ის ადამიანები, ვინც ჩატარა 21 მაისის საპარლამენტო არჩევნები და რომელთა არაკვალიფიციური მუშაობის შედეგად გაბათილდა საარჩევნო უბნის შედეგები. მაგალითად # 81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის # 2, # 15 და # 43 საარჩევნო უბნები.

კანონმდებლობით, ახლადშექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების სხდომა უნდა გაიმართოს არჩევნებამდე არაუგვიანეს 34-ე დღისა⁹. შესაბამისად, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩატარდა ყველა საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომა. თუმცა მონიტორინგის შედეგად ცხადი გახდა, რომ რიგი საარჩევნო უბნების რეგლამენტის შესაბამისად არ ფუნქციონირებდა. კერძოდ 17:00 საათის შემდეგ დაკეტილი იყო # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 3, 12, 53, 65, 66; # 81 ქობულეთის # 60 საარჩევნო უბნები. გადამოწმებამ აჩვენა, რომ მონიტორინგის განხორციელების მომდევნო პერიოდში ზოგიერთი საარჩევნო უბანი არ ფუნქციონირებდა 16:00 საათის შემდეგ.

⁸ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“, მუხლი 25, პუნქტი 3;

⁹ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მუხლი 20, პუნქტი 4.

მაგალითად: # 82 შუახევის საარჩევნო ოლქის თითქმის ყველა საარჩევნო უბანი, გარდა # 1 და # 46 საარჩევნო უბნებისა. რიგი საარჩევნო უბნები გახსნის მომდევნო დღეებშიც არ იყო უზრუნველყოფილი საჭირო ინვენტარით. მაგ: # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 56 საარჩევნო უბანი.

პირველი სხდომის დღეს, საუბნო საარჩევნო კომისიებს უნდა გამოეკრათ ამომრჩეველთა სიები და მათთან დაკავშირებული საჩივრის წესი კენჭისყრის შენობაში, თუმცა მონიტორინგის შედეგებით გაირკვა, რომ რიგ საარჩევნო უბნებზე სიებში თავის გადამოწმებისა და მასთან დაკავშირებული გასაჩივრების წესი არ გამოიკრა. ეს უბნებია: # 81 ქობულეთის საარჩევნო ოქის # 54 და # 60; # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქის #2, # 3, # 12, #15 და # 29 საარჩევნო უბნები.

საარჩევნო გრაფიკის მიხედვით, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სია უნდა გამოექვეყნებინათ პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით არჩევნებამდე არაუგვიანეს 29-ე დღისა, 5 ოქტომბერს. საოლქო საარჩევნო კომისიებმა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სიები # 79 ბათუმის, # 80 ქედის, # 81 ქობულეთისა და # 84 ხულოს საარჩევნო ოლქებმა გამოაკრეს მხოლოდ ოლქის საჯარო სტენდზე.

5 ოქტომბერს, საოლქო საარჩევნო კომისიებს უნდა გადასცემოდათ კანონით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, კერძოდ: პარტიული სია, უმაღლესი საბჭოს წევრობის თითოეული კანდიდატის მიერ შევსებული და ხელმოწერილი საადრიცხვო ბარათი და ფოტოსურათი. საარჩევნო ოლქებს არ მიუღიათ ეს დოკუმენტაცია დადგენილ ვადაში, რადგან პარტიულ სიებში არსებული ხარვეზების გამო სიები უკან დაუბრუნდათ პარტიებს გასასწორებლად.

კანონმდებლობის თანახმად, არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს უფლება აქვთ გამოიწვიონ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები, არჩევნებამდე არაუგვიანეს მე-15 დღისა. შესაბამისად, რიგ საარჩევნო უბნებზე მოხდა კომისიის წევრთა გამოწვევა. კერძოდ: # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქის 21 საარჩევნო უბნიდან, # 80 ქედის საარჩევნო ოლქის 10 საარჩევნო უბნიდან, # 81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის 46 საარჩევნო უბნიდან და # 82 შუახევის საარჩევნო ოლქის 5 საარჩევნო უბნიდან.

არჩევნებამდე არაუგვიანეს მე-15 დღისა, გამონაკლის შემთხვევაში შეიქმნა საარჩევნო უბნები. კერძოდ: # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქში შეიქმნა # 75 საარჩევნო უბანი; # 81 ქობულეთის საარჩევნო ოლქში - # 63 საარჩევნო უბანი; # 83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში # 50, # 65 და # 66 საარჩევნო უბნები.

აღსანიშნავია, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენელმა, რომლის მოვალეობა იყო # 83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის ზედამხედველობა და საჭირო კონსულტაციების გაწევა, აბსოლუტურად გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას და აქტიურად ერეოდა საარჩევნო ოლქის საქმიანობაში. ის ასევე უთითებდა სადამკვირვებლო ორგანიზაციის

(„სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლებს) წარმომადგენლებს, რა სახის ინფორმაციის მიღება შეეძლოთ და/ან არ შეეძლოთ მათ.

83 ხელვაჩაურის სარჩევნო ოლქში, „სამართლიანი არჩევნებს“ შეექმნა პრობლემა საჯარო ინფორმაციის კანონმდებლობის შესაბამისად მიღებასთან დაკავშირებით. საჯარო ინფორმაციას, რომელსაც დანართის სახით ერთვოდა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საარჩევნო ოლქში, არ იყო ბეჭედ-დარტყმული. აღნიშნული პრობლემა არ გამოსწორდა, ორგანიზაციის ცენტრალური ოფისის ჩარევის შედეგადაც.

3 ნოემბრის არჩევნებისთვის, რიგ სარჩევნო უბნებზე კომისიის თავმჯდომარეებად და მოადგილეებად არჩეულ იქნენ ის ადამიანები, რომელთაც 21 მაისის, საპარლამენტო არჩევნებზე არაკვალიფიციური მუშაობის გამო აეკრძალათ მომდევნო არჩევნებში კომისიის წევრებად მუშაობა. მაგალითად: # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 49 საარჩევნო უბნის თავმჯდომარე დაინიშნა პიროვნება, რომელსაც 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების დროს მიეცა დისციპლინარული სასჯელი და აეკრძალა მომავალ არჩევნებში საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეობა. აღნიშნული პიროვნება საპარლამენტო არჩევნების დროს იყო # 66 საარჩევნო უბნის თავმჯდომარე და მან უფლება მისცა მარკირება გავლილ ამომრჩეველს კვლავ შემოსულიყო საარჩევნო უბანზე. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით“¹⁰ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად არ შეიძლება აირჩეს/დაინიშნოს პირი, რომელიც საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისთვის საარჩევნო კომისიამ ან სასამართლომ გაათავისუფლა საარჩევნო ადმინისტრაციაში დაკავებული თანამდებობიდან.

ამასთან დაკავშირებით, 27 ოქტომბერს „სამართლიანმა არჩევნებმა“ შეიტანა განცხადება # 79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიაში და საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, მოითხოვა ადეკვატური რეაგირება. 31 ოქტომბერს, ბათუმის საარჩევნო ოლქმა უარი განუცხადა „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენელს განცხადების განხილვაზე, იმ მოტივით რომ, საარჩევნო კომისიის წევრად აყვანის განკარგულების გასაჩივრების ვადა იყო 1 კალენდარული დღე, შესაბამისად ორგანიზაციამ დააგვიანა განცხადების შეტანა. „სამართლიანმა არჩევნებმა“ არ შეიტანა საჩივარი აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, თუმცა განცხადებით მიმართა საარჩევნო ოლქს, სადაც ადასტურებდა, რომ ზემოთ აღნიშნული პასუხი (საჩივრის დაგვიანებით შეტანა), ვერ გამოდგებოდა დასაბუთებული უარის მიზეზად. რადგან სწორედ # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქმა დაარღვია კანონმდებლობით განსაზღვრული ვადა, როდესაც მან 3 დღის დაგვიანებით გასცა ორგანიზაციას ოფიციალური პასუხი.

გარდა აღნიშნულისა, მსგავსი შემთხვევები, როდესაც საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებად და მოადგილეებად დანიშნულნი იყვნენ დისციპლინარული სასჯელ-მიღებული პირები (21 მაისის საპარლამენტო არჩევნების დროს), დაფიქსირდა # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქის 6 საარჩევნო უბანზე. კერძოდ: # 1 საარჩევნო უბანზე კომისიის თავმჯდომარე აირჩიეს პიროვნება, რომელსაც

¹⁰ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მუხლი 18, პუნქტი 5¹

საპარლამენტო არჩევნების დროს მიეცა გაფრთხილება, იმასთან დაკავშირებით, რომ მან უსაფუძვლოდ გააძევა საარჩევნო უბნის ტერიტორიიდან ადგილობრივი დამკვირვებელი; # 66 საარჩევნო უბნის კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა პიროვნება, რომელსაც საპარლამენტო არჩევნების დროს მიეცა გაფრთხილება კომისიის წევრებს შორის წილისყრით გადანაწილებული ფუნქციების თვითნებურად შეცვლის გამო; # 32 საარჩევნო უბნის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა პიროვნება, საპარლამენტო არჩევნების დროს მის საარჩევნო უბანზე აღინიშნა რამოდენიმე პროცედურული დარღვევა; # 43 საარჩევნო უბანზე თავმჯდომარედ აირჩიეს პიროვნება, რომელმაც წინა არჩევნებზე იმავე უბნის თავმჯდომარეობის დროს მარკირება გავლილ ამომრჩეველს უფლება მისცა შესულიყო საარჩევნო უბანში, ამასთან საარჩევნო უბნის დახურვის შემდეგ ხმების დათვლის დროს უბანზე დაუშვა ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი (როცა უკვე აღარ შეიძლებოდა საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე შესვლა), როცა უბანზე უკვე იყო იმავე პარტიის ერთი წარმომადგენელი; # 55 საარჩევნო უბნის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა პირი, რომელსაც საარჩევნო ოლქის მიერ მიღებული ჰქონდა გაფრთხილება, რადგან მის საარჩევნო უბანზე საპარლამენტო არჩევნების დროს ამომრჩეველმა ხმა მისცა ვადაგასული პირადობის მოწმობით; და ბოლოს, # 52 საარჩევნო უბნის თავმჯდომარესაც მიღებული ჰქონდა დისციპლინარული სასჯელი, რადგან საპარლამენტო არჩევნების დროს მის უბანზე ამომრჩეველმა ხმა მისცა ყალბი პირადობის მოწმობის საფუძველზე.

წინასაარჩევნო გარემო

მონიტორინგის განხორციელების პერიოდში მოსახლეობასთან შეხვედრებით აქტიურობდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, გიორგი თარგამაძე - ქრისტიან-დემოკრატები და პოლიტიკური გაერთიანება „ქართული დასი“. ორგანიზაციის გრძელვადიანი დამკვირვებლების მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით წინასაარჩევნო პერიოდი მშვიდ გარემოში წარიმართა და რაიმე სახის სერიოზულ დარღვევებს ადგილი არ ჰქონია. მიუხედავად ამისა, გარეკვეული პრობლემები მაინც დაფიქსირდა:

84 ხულოს საარჩევნო ოლქში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებმა სააგიტაციო მასალა უშუალოდ ოლქის შენობაზე გააკრეს. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 75 მუხლის, 4 პუნქტის მიხედვით აკრძალულია საარჩევნო სააგიტაციო მასალის გაკვრა სახელმწიფო ორგანოების შენობებზე.

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენლების განცხადებით # 80 ქედის საარჩევნო ოლქში ამომრჩევლებს მათთან შეხვედრას უკრძალავდნენ. მათი თქმით, მოსახლეობას აშინებდნენ და სამსახურებიდან გათავისუფლებით ემუქრებოდნენ, ასევე ემუქრებოდნენ, რომ თუ ისინი მხარს დაუჭირდნენ ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას ვერ მიიღებდნენ შეშის ვაუჩერს.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად, გააქტიურდა ადგილობრივი ხელისუფლება და დაიწყო რიგი პრობლემების მოგვარება ადგილობრივი მოსახლეობისთვის, კერძოდ წყლის მიღების დარიგება, საწვავისა და ვაუჩერების დარიგება, გზების შეკეთება და ა.შ. გარდა ამისა, # 84 ხულოს საარჩევნო ოლქის გამგეობაში დაიწყო ღარიბი მოსახლეობისათვის ფულადი დახმარებების გაწევა განცხადებების საფუძველზე.

ამომრჩეველთა სიები

ამომრჩეველთა სიის საკითხი კვლავ პრობლემატური იყო 2008 წლის 3 ნოემბრის აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის. „სამართლიანი არჩევნები“ შეეცადა გაერკვია ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და მის თითოეულ ოლქში. თუმცა ორგანიზაცია ამ კუთხით დიდ სირთულეს წააწყდა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის, უმაღლესი საარჩევნო კომისიისა და საოლქო საარჩევნო კომისიების მონაცემები განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. ორგანიზაციამ გააკეთა ამომრჩეველთა სიების შედარებითი ანალიზი. ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი ასახავს განსხვავებებს ამომრჩეველთა რაოდენობებს შორის, ოლქების მიხედვით.

საარჩევნო ოლქის დასახელება	საარჩევნო ოლქის ნომერი	ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდის მონაცემები	უმაღლესი საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდის მონაცემები	საარჩევნო ოლქების მონაცემები
ბათუმი	79	98350	98906	98 308
ქედა	80	15334	67118	67 160
ქობულეთი	81	66885	67118	67 160
შუახევი	82	15175	15164	15176
ხელვაჩაური	83	69608	71684	15176
ხულო	84	23844	23823	23 945
საერთო		289196	292021	

ანალიზზე დაყრდნობით ნათელია, რომ კვლავ არსებობდა პრობლემები ამომრჩეველთა სიის ხარისხში და სიაში ამომრჩეველთა რაოდენობებში.

არჩევნებამდე არაუგვიანეს მე-14 დღისა¹¹, 20 ოქტომბერს ამომრჩეველთა სიები განიხილა და შესაბამისი ცვლილებები შეიტანა მასში საოლქო საარჩევნო კომისიებმა. კერძოდ:

¹¹ აჭარის ა/რ-ის კანონი «აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ», მუხლი 16, პუნქტი 6;

79 ბათუმის საარჩევნო ოლქი - სიიდან ამოღებულ იქნა 27 გარდაცვლილი; დამატებულ იქნა 40 გამოტოვებული ამომრჩეველი; გაკეთდა 2 შესწორება, 1300 ამომრჩეველი (სამხედრო, ვადიანი და საკონტრაქტო მოსამსახურეები) მიმაგრებულ იქნა დისლოკაციის ადგილის მიხედვით სხვადასხვა საარჩევნო უბნებს;

#80 ქედის საარჩევნო ოლქი - სიიდან ამოღებულ იქნა 47 გარდაცვლილი, დამატებულ იქნა 35 გამოტოვებული ამომრჩეველი, გაკეთდა 13 შესწორება;

#81 ქობულეთი - სიიდან ამოღებული იქნა 268 გარდაცვლილი, შეყვანილი იქნა 136 გამოტოვებულები, უბნიდან უბანზე გადაყვანილი იქნა 1024 ამომრჩეველი, გაკეთდა 3 შესწორება;

#82 შუახევის საარჩევნო ოლქი - სიიდან ამოღებულ იქნა 59 გარდაცვლილი, დამატებულ იქნა 28 გამოტოვებული ამომრჩეველი, ერთი უბნიდან მეორე უბანზე გადაყვანილ იქნა 95 ამომრჩეველი, შესწორებულ იქნა 6 ამომრჩევლის მონაცემები;

#83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქი - სიიდან ამოღებულ იქნა 146 გარდაცვლილი, ამომრჩეველთა განცხადების საფუძველზე დამატებულ იქნა 8 ამომრჩეველი, გაკეთდა 2 შესწორება;

#84 ხულოს საარჩევნო ოლქი – სიიდან ამოღებულ იქნა 86 გარდაცვლილი, დამატებულ იქნა 16 გამოტოვებული ამომრჩეველი.

კანონმდებლობის მიხედვით, ამომრჩეველთა სიის ცვლილებები საოლქო საარჩევნო კომისიებს¹² დღის ვადაში უნდა გადაეცათ საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის, თუმცა რიგ შემთხვევაში საარჩევნო უბნებს დადგენილ ვადაში არ მიუღიათ აღნიშნული ცვლილებების შემცველი განკარგულება. მაგალითად: # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 52, # 17, # 19, # 31, # 22, # 27 და # 12 საარჩევნო უბნები; # 83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის # 49 საარჩევნო უბანი.

83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის # 33, კერძოდ თხილნარის საარჩევნო უბანი, ოლქის მიერ მოწოდებული საზღვრების მიხედვით უნდა იყოს სოფელ თხილნარის სასოფლო კლუბში, თუმცა გადამოწმებით ცხადი გახდა, რომ რეალურად # 33 უბანი განთავსებულია სოფლის თემის საკრებულოს შენობაში. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით“¹³ საუბნო საარჩევნო კომისია არ უნდა განთავსდეს და კენჭისყრის ადგილი არ უნდა გამოიყოს იმავე შენობაში, რომელშიც განთავსებულია სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე არ არის სხვა, შესაფერისი შენობა-ნაგებობა.

¹² აჭარის ა/რ-ის კანონი «აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ», მუხლი 16, პუნქტი 7.

¹³ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მუხლი 2, პუნქტი 2.

23 ოქტომბერს # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 22 სარჩევნო უბანზე გამოკრული იყო გადასატანი საარჩევნო ყუთის სია. საარჩევნო კანონმდებლობით გადასატანი საარჩევნო ყუთის სია დგება არჩევნებამდე ორი დღით ადრე, შესაბამისად # 22 სარჩევნო უბანზე მოხდა კანონის დარღვევა. აღნიშნული ფაქტი გამოსწორდა მხოლოდ “სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი დამკვირვებლის ჩარევის შემდეგ და გადასატანი ყუთის სია ჩამოიხსნა საარჩევნო უბნიდან.

წინასაარჩევნო პერიოდში გამოიკვეთა სამი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელმაც გავლენა იქონია საარჩევნო პროცესებზე აჭარაში. პირველი - საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება არაკვალიფიციური კომისიის წევრებით; მეორე - საარჩევნო ადმინისტრაციის ქვედა დონის არაგამჭვირვალედ დაკომპლექტება; და მესამე - პრობლემები ამომრჩეველთა სიებში - ამომრჩეველთა რაოდენობების განსხვავება საარჩევნო ადმინისტრაციის სხვადასხვა დონეებზე.

საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მობილიზება

სადამკვირვებლო მისიის ჩამოყალიბების მიზნით „სამართლიანმა არჩევნებმა“ შექმნა მოხალისეთა ფართო ქსელი აჭარის მთელს ტერიტორიაზე. ორგანიზაციამ არჩევნების დღის მონიტორინგის მიზნით დაატრენინგა და აკრედიტაციაში გაატარა სულ 334 დამკვირვებელი. წინასაარჩევნო მონიტორინგი განახორციელა ორგანიზაციის 6 გრძელვადიანმა დამკვირვებელმა, ხოლო მოკლევადიანი დაკვირვება - ორგანიზაციის 334 უბნის და 6 ოლქის დამკვირვებელმა. მონიტორინგი ასევე განახორციელა „სამართლიანი არჩევნების“ 6 მობილურმა ჯგუფმა, უბნის დამკვირვებელთაგან ინფორმაციის ოპერატიულად მიღებისა და მათზე დაუყოვნებლივ რეაგირების მიზნით. სადამკვირვებლო მისიის საქმიანობას, იურიდიულ მხარდაჭერას უწევდა „სამართლიანი არჩევნების“ ოლქების შესაბამისად ჩამოყალიბებული, 3 იურიდიული ჯგუფი.

„სამართლიანი არჩევნების“ ცენტრალურმა ოფისმა აჭარის რეგიონალურ ოფისთან თანამშრომლობით შეიმუშავა დამკვირვებელთა მობილიზაციის სქემა, ანგარიშგების ფორმები, კომუნიკაციისა და ანგარიშგების სისტემა. არჩევნების დღის დამკვირვებლებს ჩატარდათ ტრენინგები არჩევნების დაკვირვების თემატიკასთან დაკავშირებით.

ტრენინგები

12 და 13 ოქტომბერს ჩატარდა ტრენინგთა ტრენინგი ბათუმში, რომელსაც დაესწრო 12 მონაწილე - 4 ცენტრალური ოფისის წარმომადგენელი და 8 ტრენერი.

ტრენინგზე განხილული იქნა საკითხები:

- პროექტის აღწერა;
- სადამკვირვებლო მისიის მნიშვნელობა;
- საარჩევნო ადმინისტრაცია;
- ამომრჩეველთა სიები;
- საარჩევნო უბნის გახსნა;
- არჩევნების დღე;
- გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემა;
- არჩევნების დღის ფორმები;
- კომუნიკაციის სისტემა;
- მოკლევადიან დამკვირვებელთა ინსტრუქციები;
- ფინანსური საკითხები;
- ტრენინგის დახურვა.

ტრენინგთა ტრენინგის შემდეგ, 15-21 ოქტომბრის განმავლობაში ტრენინგები ჩატარდა ორგანიზაციის 384 მოკლევადიან დამკვირვებელს (მათ შორის 50 სარეზერვო დამკვირვებელს). დამკვირვებლებს გადაეცათ სახელმძღვანელოები, ინსტრუქციები, სპეციალური ფორმები და ორგანიზაციის ბეიჯები.

ტრენინგების დასრულების შემდეგ დამკვირვებლებმა შეავსეს სპეციალური ტესტები, რათა შეფასებულიყო მათი ცოდნის დონე ტრენინგის დროს გავლილ საკითხებთან დაკავშირებით.

ტრენინგების მეორე რაუნდი ჩატარდა 30 ოქტომბერსა და 1 ნოემბერს, რომლებიც ჩაატარეს ორგანიზაციის ოლქის კოორდინატორებმა თავიანთ საარჩევნო ოლქებში.

იურისტების ტრენინგები

2008 წლის, 28 ოქტომბერს ორგანიზაციის იურიდიული ჯგუფების წარმომადგენლებს ჩატარდა ტრენინგი და დაურიგდათ ანგარიშებისათვის ყველა საჭირო მასალა (ფორმები, ინსტრუქციები).

იურისტთა ტრენინგზე განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

1. საჩივარ/განცხადებები (საარჩევნო კოდექსის მიხედვით);
2. საჩივარ/განცხადებები (სასამართლოში);
3. იურისტების ფორმის ახსნა;
4. ანგარიშგება და კომუნიკაცია.

კრიტიკული სიტუაციის ოპერატორების ტრენინგი

1 ნოემბერს ბათუმში ტრენინგი ჩატარდა კრიტიკული სიტუაციის ოპერატორებსა. ტრენინგს დაესწრო 5 ოპერატორი.

კრიტიკული ოპერატორების ტრენინგებზე განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

1. კენჭისყრის დღის პროცედურები;
2. კრიტიკული სიტუაციის ფორმის ახსნა;
3. კრიტიკული სიტუაციის კომუნიკაციის სისტემა;
4. კრიტიკული ფორმის შევსების ინსტრუქცია.

არჩევნების დღე

„სამართლიანმა არჩევნებმა“ აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღის მონიტორინგი განახორციელა 334 უბნის, 11 მობილური ჯგუფის, 1 უმაღლესი საარჩევნო კომისიისა და 6 საარჩევნო ოლქის დამკვირვებლის მეშვეობით. ამასთან, ორგანიზაციამ განახორციელა აქტივობის პარალელური დათვლა.

არჩევნების დღის მონიტორინგის ფინანსური მხარდაჭერა უზრუნველყო ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (ეუთო) და ბრიტანეთის საელჩომ საქართველოში.

არჩევნების დღის მონიტორინგის მიგნებები

არჩევნების დღეს ორგანიზაციის დამკვირვებლებისაგან მიღებული ინფორმაციით, დაფიქსირდა შემდეგის სახის დარღვევები:

- საარჩევნო უბნის დაგვიანებით გახსნა/ხმის მიცემის პროცესის დაგვიანებით დაწყება - # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 53 საარჩევნო უბანი; # 81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის # 44 საარჩევნო უბანი;
- საარჩევნო უბანზე მიღებული ბიულეტენების რაოდენობა არ ემთხვეოდა მიღება-ჩაბარების აქტში დაფიქსირებულ რაოდენობას - # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქის #10 და # 49 საარჩევნო უბნები;
- სხვის მაგივრად ხმის მიცემის ფაქტები - # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 1, # 55, # 15 (სხვის მაგივრად ხელის მოწერა ამომრჩეველთა სიაში), # 20, # 49 და # 69 საარჩევნო უბნები; # 83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის # 9 საარჩევნო უბანი;
- გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის ამომრჩევლები არ იყვნენ შეყვანილნი ერთიან ამომრჩეველთა სიაში - # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 38, # 55, # 66 და # 68 საარჩევნო უბნები; # 82 შუახევის საარჩევნო ოლქის # 17 საარჩევნო უბანი;
- ამომრჩეველთა ერთიან სიაში არ იყო მითითება, რომ ამომრჩეველი გადაყვანილია გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში - # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 17, # 43, # 49, # 52 და # 68 საარჩევნო უბნები;
- გადასატანი საარჩევნო ყუთით არჩევნებში მონაწილეობა მიიღო იმაზე მეტმა ადამიანმა, ვიდრე რეგისტრირებული იყო ამ სიაში - # 83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის # 11 და # 37 საარჩევნო უბნები;
- ხმის მიცემა პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გარეშე - # 81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის # 46 და # 61 საარჩევნო უბნები; # 80 ქედის საარჩევნო ოლქის # 31 საარჩევნო უბანი;

- ხმის მიცემის მცდელობა პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გარეშე - # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 3 და # 17 საარჩევნო უბნები;
- ბიულეტენების ჩაყრა - # 83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის # 37 და # 59 საარჩევნო უბნები; # 82 შუახევის საარჩევნო ოლქის # 43 საარჩევნო უბანი;
- „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლებზე ზეწოლა - # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 9, # 17 და # 51 საარჩევნო უბნები; # 83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის # 3, # 37 და # 70 საარჩევნო უბნები; # 84 ხულოს საარჩევნო ოლქის # 26 საარჩევნო უბანი;
- ხმის მიცემა ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერის გარეშე - # 83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის # 38 საარჩევნო უბანი (ორი შემთხვევა);
- ხმის მიცემა მარკირების გავლის გარეშე - # 84 ხულოს საარჩევნო ოლქის # 17 საარჩევნო უბანი (სამი ამომრჩეველი);
- ხმის მიცემის მცდელობა მარკირებაგავლილ ამომრჩეველთა მიერ - # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 43 და # 55 საარჩევნო უბნები;
- ერთზე მეტი უფლებამოსილი პირის დაფიქსირება საარჩევნო უბანზე - # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 55 და # 75 საარჩევნო უბნები („ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი); # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 71 საარჩევნო უბანი („ახალგაზრდა ჟურნალისტთა ასოციაციის“ წარმომადგენელი);
- არაშესაბამისი მოწმობებით ხმის მიცემა - # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 34 საარჩევნო უბანი - ყოფილმა პატიმარმა ხმა მისცა ციხიდან გათავისუფლების მოწმობის წარდგენის მეშვეობით; # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 75 საარჩევნო უბანი - ამომრჩეველმა მონაწილეობა მიიღო არჩევნებში პირადობის მოწმობის ასლის წარდგენით; # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 3, # 24 და # 25 საარჩევნო უბნები - მოქალაქეებმა სცადეს ხმის მიცემა ყალბი პირადობის მოწმობებით; # 82 შუახევის საარჩევნო ოლქის # 38 საარჩევნო უბანი- ვადაგასული პირადობის მოწმობით ხმის მიცემის მცდელობა;
- ორმაგი ხმის მიცემა - # 84 ხულოს საარჩევნო ოლქის # 26 საარჩევნო უბანი;
- სხვა პროცედურული დარღვევები საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მიერ - # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 53 საარჩევნო უბანი; # 82 შუახევის საარჩევნო ოლქის # 17 საარჩევნო უბანი; # 81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის #15 საარჩევნო უბანი (საარჩევნო უბანზე არ იყო მინიშნება კანდიდატის მიერ რეგისტრაციის მოხსნასთან დაკავშირებით); # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 49 საარჩევნო უბანი (კომისიის წევრებს, რომელთაც უნდა წაეღოთ გადასატანი საარჩევნო ყუთი, მისცეს მხოლოდ მაჟორიტარული ბიულეტენები, როდესაც მათ უნდა ჰქონოდათ ორივე: მაჟორიტარული და პროპორციული ბიულეტენები); # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 3 საარჩევნო უბანი (სადემონსტრაციო ოქმს არ ჰქონდა რეგისტრაციის ბეჭედი დარტყმული) # 83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის # 37 საარჩევნო უბანი (სპეციალურ კონვერტში მოთავსებული იყო ერთზე მეტი ბიულეტენი, თუმცა ეს კონვერტი მაინც მოათავსეს საარჩევნო ყუთში); # 81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის # 15 საარჩევნო უბანი (ბიულეტენი მოათავსეს საარჩევნო ყუთში, სპეციალურ კონვერტში მოთავსების გარეშე); # 81

ქობულეთის საარჩევნო ოლქის # 29 საარჩევნო უბანი (უბნის კომისიის წევრებმა მოქალაქეს ბიულეტენი მისცეს პირადობის მოწმობის მოთხოვნის გარეშე);

- უბნის კომისიის წევრთა მცდელობა დამკვირვებლები გაყოლოდნენ გადასატან საარჩევნო ყუთს - # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 16 და # 23 საარჩევნო უბნები;
- არაუფლებამოსილი პირები საარჩევნო უბანზე - # 82 შუახევის საარჩევნო ოლქის # 43 საარჩევნო უბანი;
- არასაარჩევნო ასაკის მოქალაქეთა მონაწილეობა ხმის მიცემის პროცესში - # 83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის # 35 საარჩევნო უბანი;

„სამართლიანი არჩევნები“ აღნიშნულ დარღვევებზე რეაგირებას ახდენდა საჩივარ/განცხადებების შეტანით საარჩევნო ადმინისტრაციის სხვადასხვა დონეებში.

საჩივრების/განცხადებების ანალიზი

ორგანიზაციის დამკვირვებლებმა საარჩევნო უბნებზე დააფიქსირეს სხვადასხვა სახის დარღვევები. წარმოგიდგინთ დარღვევებს რაოდენობისა და შინაარსის მიხედვით:

- საარჩევნო უბნის დაგვიანებით გახსნა/ხმის მიცემის პროცესის დაგვიანებით დაწყება - 2 შემთხვევა;
- დამკვირვებლებზე ზეწოლა - 10 შემთხვევა;
- არაუფლებამოსილი პირები საარჩევნო უბნებზე - 3 შემთხვევა;
- ხარვეზები ამომრჩეველთა სიაში - 13 შემთხვევა;
- საარჩევნო დოკუმენტაციის არასწორი შენახვა - 3 შემთხვევა;
- ფუნქციების არაკანონიერი გადანაწილება კომისიის წევრებს შორის - 1 შემთხვევა;
- ხმის გაყალბება (ბიულეტენების ჩაყრა) - 23 შემთხვევა;
- შეუსაბამო მოწმობებით ხმის მიცემა - 8 შემთხვევა.

შესაბამისად, აღნიშნული დარღვევების საფუძველზე „სამართლიანმა არჩევნებმა“ არჩევნების დღეს შეიტანა 61 საჩივარი - 56 საჩივარი შევიდა საუბნო საარჩევნო კომისიებში, ხოლო 11 საჩივარი - საოლქო საარჩევნო კომისიებში (6 საჩივარი საარჩევნო ოლქსა და უბანში შევიდა ერთდროულად). საუბნო საარჩევნო კომისიებმა არ დაარეგისტრირეს ორგანიზაციის 5 საჩივარი, შესაბამისად ეს საჩივრები შეტანილ იქნა საოლქო საარჩევნო კომისიებში. „სამართლიანი არჩევნების“ საჩივრებზე დაყრდნობით გაბათილდა შემდეგი საარჩევნო უბნების მონაცემები:


- # 82 შუახევის საარჩევნო ოლქის # 7, 12, 17 და 43 საარჩევნო უბნები;

- # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 59, 55 და 68 საარჩევნო უბნების გადასატანი საარჩევნო ყუთის შედეგები.

ყველაზე დიდი რაოდენობით დაფიქსირდა ხმის გაყალბება, რომელიც გამოიხატა ბიულეტენების ჩაყრითა და სხვის მაგივრად ხმის მიცემით; დამკვირვებლებზე ზეწოლა; ხარვეზები ამომრჩეველთა სიაში და შეუსაბამო დოკუმენტაციის წარდგენით ხმის მიცემა.

ორგანიზაციის აქტივობის პარალელური დათვლის შედეგები

არჩევნების დღეს „სამართლიანმა არჩევნებმა“ განახორციელა აქტივობის პარალელური დათვლა. ამისათვის ორგანიზაციას არ გამოუყენებია შემთხვევითი შერჩევა, შესაბამისად დაფარა საარჩევნო უბანთა 100 %. ინფორმაცია შემოვიდა სულ უბანთა 94, 01 %-დან. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით ამომრჩეველთა აქტივობა აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის იყო **40, 63 %**. იხილეთ ამომრჩეველთა აქტივობა საარჩევნო ოლქების მიხედვით:



არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგი

„სამართლიანმა არჩევნებმა“ განახორციელა არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგი 12 ოლქისა და 1 უმაღლესი საარჩევნო კომისიის დამკვირვებლის მეშვეობით.

აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შემდგომ პერიოდში გამოიკვეთა სერიოზული საარჩევნო დარღვევები ხელვაჩაურის ოლქში. კერძოდ, არჩევნების დღეს ორგანიზაციამ გამოავლინა არაერთი დარღვევა ხელვაჩაურის ოლქში, განსაკუთრებით გადასატანი საარჩევნო ყუთის სიასთან მიმართებაში, რომელთა უმრავლესობა კანონის დარღვევით იყო შედგენილი. გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის ამომრჩევლები არ იყვნენ შეყვანილნი ერთიან ამომრჩეველთა სიაში ან ერთიან სიაში არ იყო მინიშნება, რომ ეს ამომრჩევლები გადაყვანილნი არიან გადასატანი ყუთის სიაში. ყოველივე ეს ქმნიდა ორჯერ ხმის მიცემის შესაძლებლობას.

4 ნოემბერს ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქმა განიხილა „სამართლიანი არჩევნების“ მიერ შეტანილი საჩივრები და შედეგად გააბათილა # 16 და # 37 საარჩევნო უბნების შედეგები. დანარჩენ საჩივრებთან დაკავშირებით ორგანიზაცია გეგმავდა მათ შეტანას სასამართლოში, თუმცა მოულოდნელად 4 ნოემბერს 23:00 საათზე მოწვეული იქნა ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა, რომელზედაც კანონმდებლობის დარღვევით მიღებულ იქნა ოლქის არჩევნების შედეგების ოქმი. ასეთი ქმედებით საარჩევნო ოლქმა არამხოლოდ დაარღვია საარჩევნო კანონმდებლობის ნორმები, არამედ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს გადაუჭრა დავების განხილვის/გაგრძელების შემდგომი გზები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“, 80-ე მუხლის, 21-ე პუნქტის მიხედვით „სამართლიანმა არჩევნებმა“ შეიტანა საჩივარი აჭარის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში, ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის შემაჯამებელი ოქმის პროპორციული და მაჟორიტარული შედეგების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით¹⁴. 5 ნოემბერს აჭარის უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ სხდომაზე გააუქმა # 83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის არჩევნების შედეგები. შესაბამისად, განმეორებითი არჩევნები ხელვაჩაურში დაინიშნა 16 ნოემბერს პროპორციული სისტემით და 14 დეკემბერს - მაჟორიტარული სისტემით. „სამართლიანმა არჩევნებმა“ გამოხატა მზადყოფნა დაკვირვებოდა განმეორებით არჩევნებს.

¹⁴ საჩივარი იგივე მოთხოვნით უმაღლეს საარჩევნო კომისიაში შეტანილ იქნა საქართველოს ლეიბორისტული პარტიისა და გიორგი თარგამაძე-ქრისტეან დემოკრატების მიერ.

აჭარის უმაღლესი საბჭოს განმეორებითი არჩევნების მონიტორინგი

14 დეკემბერს „სამართლიანმა არჩევნებმა“ ხელვაჩაურის ოლქში მაჟორიტარული სისტემით განმეორებითი არჩევნებისთვის აიყვანა და ტრენინგები ჩაუტარა 1 გრძელვადიან დამკვირვებელს, 1 აჭარის უმაღლესი საბჭოს დამკვირვებელს, 1 იურიდიულ ჯგუფს და 66 უბნის დამკვირვებელს. ამასთან შეიმუშავა და მიაწოდა საჭირო მასალები სადამკვირვებლო მისიას.

მაჟორიტარული სისტემის არჩევნებისთვის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში დარეგისტრირდა 5 პოლიტიკური პარტია: „ქართული დასი“, „გიორგი თარგამაძე - ქრისტიან დემოკრატები“, „ჩვენ თვითონ“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „საქართველოს გაერთიანებულ კომუნისტთა პარტია“. წარმოდგენილი პარტიებიდან მხოლოდ სამმა წარადგინა მაჟორიტარი კანდიდატი, შესაბამისად ორმა პარტიამ („ჩვენ თვითონ“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) ვეღარ მიიღო მონაწილეობა არჩევნებში.

პოლიტიკურ პარტიათა რიგითი ნომრები შემდეგნაირად გადანაწილდა:

1. საქართველოს კომუნისტთა პარტია;
2. პოლიტიკური გაერთიანება - „ქართული დასი“;
3. გიორგი თარგამაძე - ქრისტიან დემოკრატები.

პოლიტიკურმა პარტიებმა არჩევნებში მონაწილეობის მიზნით ხელვაჩაურში წარადგინეს შემდეგი მაჟორიტარი კანდიდატები:

1. საქართველოს კომუნისტთა პარტია – მურმან სურმანიძე;
2. გიორგი თარგამაძე - ქრისტიან დემოკრატები - ზაზა შაშიკაძე;
3. პოლიტიკური გაერთიანება - „ქართული დასი“ – თამარ კვაჭანტირაძე.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კერძოდ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ მიხედვით, ყველა იმ ორგანიზაციის, რომელიც აკმაყოფილებს

კანონმდებლობის მოთხოვნებს, უფლება აქვს დარეგისტრირდეს დამკვირვებლად და განახორციელოს მონიტორინგი საარჩევნო პროცესზე.

განმეორებითი არცევნებუსთვის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრაცია გაიარა ერთმა საერთაშორისო და სამმა ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ. ესენია:

1. IFES-საქართველო;
2. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება –ISFED;
3. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
4. სიმართლისა და სამართლის საერთაშორისო ორგანიზაცია.

19 დეკემბერს გაიმართა აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომა, სადაც მიიღეს ხელვაჩაურის ოლქში მაჟორიტარული სისტემით ჩატარებული არჩევნების შემაჯამებელი ოქმი.

მაჟორიტარული სისტემით არჩევნები ხელვაჩაურის ოლქში გაიმართა 2008 წლის 14 დეკემბერს. „სამართლიანმა არჩევნებმა მონიტორინგის მიზნით მიაღწინა 66 დამკვირვებელი, 1 იურისტთა ჯგუფი და 1 მობილური ჯგუფი ხელვაჩაურის ოლქში.

„სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლების ინფორმაციით სიატუაცია საარჩევნო უბნებზე იყო საკმაოდ მშვიდი, შესაბამისად ადგილი არ ჰქონია სერიოზული სახის დარღვევებს. როგორც მოსალოდნელი იყო, ამომრჩეველთა აქტივობა იყო საკმაოდ დაბალი.

დაფიქსირდა დარღვევის მხოლოდ ერთი ფაქტი, ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის # 11 საარჩევნო უბანზე. ორგანიზაციამ შეიტანა საჩივარი, რომელიც არ იქნა დაკმაყოფილებული საარჩევნო უბნის კომისიის მიერ. ამომრჩეველთა ხელმოწერები არ ემთხვეოდა საარჩევნო ყუთში არსებულ კონვერტთა რაოდენობას. ხელმოწერების რაოდენობა იყო 115, მაშინ როდესაც კონვერტების რაოდენობა იყო 109. რადგანაც საუბნო საარჩევნო კომისიამ არ დააკმაყოფილა ორგანიზაციის საჩივარი, „სამართლიანმა არჩევნებმა“ საჩივარი შეიტანა ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში. ორგანიზაციამ მოითხოვა საარჩევნო კომისიის სამი წევრის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, კერძოდ: საარჩევნო ყუთის ზედამხედველი კომისიის წევრის, კომისიის მდივნის, რომელმაც არ მიიღო ორგანიზაციის საჩივარი და კომისიის თავმჯდომარის, რომელმაც უბნიდან გააძევა ორგანიზაციის დამკვირვებელი. საჩივარი დააკმაყოფილა საოლქო საარჩევნო კომისიამ.

მედია ანგარიში

აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მონიტორინგის პერიოდში, კერძოდ 2008 წლის ოქტომბერ-დეკემბერში „სამართლიანმა არჩევნებმა“ ჩაატარა 6 პრეს-კონფერენცია და ბრიფინგი, ინგლისური და ქართულ ენებზე გაავრცელა ექვსი პრეს-რელიზი, ოთხი მედია განცხადება, 1 წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის შემაჯამებელი ანგარიში და ორი ელექტრონული ბიულეტენი „საარჩევნო სიახლენი“.

ყველა განცხადება და პრეს-რელიზი, ისევე როგორც ინფორმაცია ორგანიზაციის პრეს-კონფერენციებისა და ბრიფინგების შესახებ აიტვირთა ორგანიზაციის ვებ-გვერდზე და გაიგზავნა ელ-ფოსტით. ამავდროულად, მედია განცხადებები და პრეს-რელიზები გავრცელდა ადგილობრივ დონეზე, ორგანიზაციის რეგიონალური და რაიონული წარმომადგენლების მიერ.

საარჩევნო პერიოდში „სამართლიანმა არჩევნებმა“ ჩაატარა შემდეგი პრეს-კონფერენციები და ბრიფინგები:

- 1. ბათუმი, 16-10-2008** - ბრიფინგი, რომლის დროსაც ორგანიზაციამ საზოგადოებას აცნობა წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის შედეგები 5 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე. სამაუწყებლო ტელეკომპანიები - საზოგადოებრივი მაუწყებელი, რუსთავი 2 და იმედი; რეგიონალური ტელეკომპანიები - აჭარა და TV 25; რადიო სადგურები - იმედი, მწვანე ტანდა, აარა და ფორტუნა; გაზეთები - აჭარა და ბათუმელები. ბრიფინგის დროს გავრცელდა „საარჩევნო სიახლენი“ და პრეს-რელიზი;
- 2. ბათუმი, 01-11-2008** - ბრიფინგი, რომლის დროსაც ორგანიზაციამ საზოგადოებას აცნობა წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის შედეგები 5 სექტემბრიდან 26 ოქტომბრამდე. სამაუწყებლო ტელეკომპანიები - საზოგადოებრივი მაუწყებელი, რუსთავი 2 და იმედი; რეგიონალური ტელეკომპანიები - აჭარა და TV 25; რადიო სადგურები - აჭარა და მწვანე ტალღა. ორგანიზაციამ აქვე გაავრცელა წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის შემაჯამებელი ანგარიში და პრეს-რელიზი;
- 3. ბათუმი, 03-11-2008, 10:00** - პრეს-კონფერენცია, რომლის დროსაც „სამართლიანმა არჩევნებმა“ საზოგადოებას აცნობა 3 ნოემბრის, აჭარის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების მიმდინარეობის პროცესი. ორგანიზაციამ გაავრცელა 10:00 საათისათვის არსებული მონაცემები, რომელიც ეხებოდა საარჩევნო უბნების გახსნას ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. შესაბამისად, გავრცელდა პრეს-რელიზი;
- 4. ბათუმი, 03-11-2008, 15:00** - პრეს-კონფერენცია არჩევნების დღის მიმდინარეობის შესახებ, 15:00 საათისათვის არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით. ონფორმაცია ეხებოდა საარჩევნო

პროცედურებს, დარღვევებსა და ორგანიზაციის დამკვირვებლების მიერ საარჩევნო უბნებსა და ოლქებში შეტანილ საჩივრებს. გავრცელდა 1 პრეს-რელიზი;

5. **ბათუმი, 03-11-2008, 22:00** – პრეს-კონფერენცია არჩევნების დღის მიმდინარეობის შესახებ, 22:00 საათისათვის არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით. „სამართლიანმა არჩევნებმა“ საზოგადოებას აცნობა საარჩევნო უბნების დახურვის შესახებ, ასევე გამოაცხადა ორგანიზაციის მიერ აქტივობის პარალელური დათვლის შედეგები. გავრცელდა 1 პრეს-რელიზი;
6. **ბათუმი, 04-11-2008** – პრეს-კონფერენცია, სადაც ორგანიზაციამ წარადგინა 3 ნოემბრის აჭარის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების შესახებ წინასწარი განცხადება. ამასთანავე, საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია საჩივრებისა და განცხადებების შესახებ. გავრცელდა 1 პრეს-რელიზი.

„სამართლიანი არჩევნების“ მედია განცხადებები და საარჩევნო სიახლენი, რომლებიც გავრცელდა ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე:

1. **16-10-2008** – „სამართლიანმა არჩევნებმა“ გაავრცელა საარჩევნო სიახლენი ქართულ და ინგლისურ ენებზე, ორგანიზაციის ელ-ფოსტის საშუალებით. „საარჩევნო სიახლენი“ მოიცავდა წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის შედეგებს 2008 წლის 5 სექტემბრიდან 15 ოქტომბრის ჩათვლით, კერძოდ საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და # 2 ვაკისა და # 8 დიდუბის საარჩევნო ოლქებში;
2. **01-11-2008** – „სამართლიანმა არჩევნებმა“ გაავრცელა საარჩევნო სიახლენი ქართულ და ინგლისურ ენებზე, ორგანიზაციის ელ-ფოსტის საშუალებით. „საარჩევნო სიახლენი“ მოიცავდა წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის შედეგებს 2008 წლის 16 ოქტომბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით. ეს შედეგები ასევე გავრცელდა ორგანიზაციის ბრიფინგზე, რომელიც ჩატარდა 2008 წლის 1 ნოემბერს;
3. **02-11-2008** – „სამართლიანმა არჩევნებმა“ ვებ-გვერდზე ქართულ და ინგლისურ ენებზე განათავსა წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის ანგარიში. წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის ანგარიშმა მოიცვა პერიოდი 2008 წლის 5 სექტემბრიდან 1 ნოემბრის ჩათვლით;
4. **03-11-2008** – არჩევნების დღის განმავლობაში ორგანიზაციამ გაავრცელა სამი მედია განცხადება ინგლისურ და ქართულ ენებზე, არჩევნების დღის მიმდინარეობის შესახებ. ეს განცხადებები მოიცავდა 2008 წლის 3 ნოემბერს გამართული პრეს-კონფერენციების დროს გაჟღერებულ ინფორმაციას;
5. **04-11-2008** – „სამართლიანმა არჩევნებმა“ გაავრცელა მედია განცხადება არჩევნების დღისა და ამომრჩეველთა აქტივობის პარალელური დათვლის შესახებ, ქართულ და ინგლისურ ენებზე. განცხადება ასევე მოიცავდა ინფორმაციას საჩივრების შესახებ, რომლებიც ორგანიზაციამ არჩევნების დღეს შეიტანა საარჩევნო ადმინისტრაციის სხვადასხვა დონეებზე.

ბ.

საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების მონიტორინგი

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ განახორციელა საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების მონიტორინგი. მონიტორინგმა მოიცვა სამი ეტაპი: წინასაარჩევნო პერიოდი, არჩევნების დღე და არჩევნების შემდგომი პერიოდი.

საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი

„სამართლიანი არჩევნების“ 2-მა გრძელვადიანმა დამკვირვებელმა განახორციელა შუალედური არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი. დამკვირვებლებმა განახორციელეს მონიტორინგი პოლიტიკური სუბიექტების, საარჩევნო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების საქმიანობებზე.

2 ვაკისა და # 8 დიდუბის საარჩევნო ოლქებში, არჩევნებში მონაწილეობის მიზნით თითოეულ ოლქში დარეგისტრირდა 4-4 მაჟორიტარი კანდიდატი. აღსანიშნავია, რომ ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ უარი განაცხადა შუალედურ არჩევნებში მონაწილეობაზე.

საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, არჩევნებამდე 30 დღით ადრე, 4 ოქტომბერს¹⁵, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ წილისყრით განსაზღვრა საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრები¹⁶. რიგითი ნომრები შემდეგნაირად გადანაწილდა:

2 ვაკის საარჩევნო ოლქი

1. გოჩა ფიფია - მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული პოლიტიკა“;
2. თამაზ კვაჭანტირაძე - “გიორგი თარგამაძე - ქრისტეან დემოკრატები”;
3. ლევან ასათიანი - პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენ თვითონ“;
4. კახა ქორიძე - პოლიტიკური გაერთიანება „ქართული დასი“.

¹⁵ საქართველოს ორგანული კანონი “საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მუხლი 99.

¹⁶ საქართველოს ორგანული კანონი “საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მუხლი 99; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“, მუხლი 80, პუნქტი 5.

8 დიდუბის საარჩევნო ოლქი

1. ჯუმბერ კირვალიძე- მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული პოლიტიკა“;
2. ჯემალ ნათელაშვილი - სრულიად საქართველო რადიკალ-დემოკრატთა ნაციონალური პარტია;
3. გურამ ჩახვაძე - პოლიტიკური ორგანიზაცია - ეროვნულ დემოკრატიული პარტია;
4. ნათელა მიქიაშვილი - პოლიტიკური გაერთიანება „ქართული დასი“.

1 ნოემბრისთვის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დარეგისტრირებული იყო 12 საერთაშორისო ორგანიზაცია საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების მონიტორინგის მიზნით. ესენია:

1. საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი;
2. ბრიტანეთის საელჩო საქართველოში;
3. საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი;
4. ევროკავშირის სამხრეთ კავკასიაში სპეციალური წარმომადგენლის ოფისი;
5. რუმინეთის საელჩო საქართველოში;
6. ევროკავშირის ევროპული კომისიის დელეგაცია საქართველოში;
7. აზერბაიჯანის საელჩო საქართველოში;
8. აშშ-ის საელჩო საქართველოში;
9. ყაზახეთის ცენტრალური საარჩევნო კომისია;
10. პოლონეთის სეიმი;
11. ლიტვის საელჩო საქართველოში;
12. სომხეთის საელჩო საქართველოში.

და 8 ადგილობრივი არჩევნებზე დამკვირვებელი ორგანიზაცია:

1. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება;
2. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
3. ახალი თაობა - ახალი ინიციატივა;
4. საერთო-სამოქალაქო მოძრაობა “მრავალეროვანი საქართველო“;
5. ფონდი ”სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი
6. სამოქალაქო განვითარების ორგანიზაცია;
7. ადამიანის უფლებათა დაცვისა და საქართველოში დემოკრატიული პრინციპების კავშირი;
8. კავშირი „მთლიანი სარტველოს სახალხო დარბაზი“.

საქართველოს პარლამენტის შუალედურ არჩევნებში მონაწილე არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ უწარმოებია აქტიური წინასაარჩევნო კამპანია. დაფიქსირდა მხოლოდ რამოდენიმე შეხვედრა ამომრჩევლებთან. „სამართლიან არჩევნებს“ არ დაუფიქსირებია რაიმე სახის საარჩევნო დარღვევა ან არაკანონიერი ჩარევა პოლიტიკური პარტიების მიერ წარმოებულ კამპანიაში.

არჩევნების დღე

„სამართლიანმა არჩევნებმა“ დაკვირვება განახორციელა საქართველოს პარლამენტის შუალედურ არჩევნებზე # 2 ვაკისა და # 8 დიდუბის საარჩევნო ოლქებში 60 უბნის დამკვირვებლის მეშვეობით. „სამართლიანი არჩევნების“ ცენტრალურმა ოფისმა და თბილისის რეგიონალურმა ოფისმა წინასწარ შეიმუშავა მონიტორინგის სქემა, მონიტორინგის ფორმები, კომუნიკაციისა და ანგარიშგების სისტემა. არჩევნების დღის დამკვირვებლებს ჩაუტარდათ ტრენინგები არჩევნებზე დაკვირვების თემატიკასთან დაკავშირებით.

„სამართლიანმა არჩევნებმა“ არჩევნების დღის დაკვირვება განახორციელა 60 უბნის დამკვირვებლის, 2 მობილური ჯგუფის, 1 ცენტრალური საარჩევნო კომისიის და 2 საარჩევნო ოლქის დამკვირვებლის მეშვეობით.

არჩევნების დღის მონიტორინგის შედეგები

მიუხედავად ამომრჩეველთა დაბალი აქტივობისა (ოფიციალური მონაცემებით, # 2 ვაკის საარჩევნო ოლქში მონაწილეობა მიიღო 97 577 ამომრჩეველმა, ხოლო # 8 დიდუბის საარჩევნო ოლქში - 72 283 ამომრჩეველმა), საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები # 2 ვაკისა და # 8 დიდუბის საარჩევნო ოლქში ჩატარდა საარჩევნო კანონმდებლობის სრული დაცვით და „სამართლიან არჩევნებს“ არ დაუფიქსირებია რაიმე სახის დარღვევა. საჩივრები არ იქნა შეტანილი პოლიტიკური სუბიექტების და სხვა საარჩევნო სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ.

საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგი

ვინაიდან საქართველოს პარლამენტის შუალედურ არჩევნებზე საარჩევნო ადმინისტრაციაში არავითარი საჩივარი არ ყოფილა შეტანილი, 10 ნოემბერს, საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაამტკიცა შედეგების შემაჯამებელი ოქმი, რომლის მიხედვითაც # 2 საარჩევნო ოლქში არჩეული იქნა თამაზ კვაჭანტირაძე პოლიტიკური პარტია გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, ხოლო # 8 დიდუბის საარჩევნო ოლქში - გურამ ჩახვაძე, ეროვნულ დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი.

დასკვნა

2008 წლის 3 ნოემბერს ჩატარებული აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნები შეიძლება ჩაითვალოს შემდგარად, თუმცა მონიტორინგის პროცესის დროს დაფიქსირდა სხვადასხვა ფაქტები, რომელთა არსებობამ გავლენა იქონია არჩევნების დემოკრატიული სტანდარტების სრული დაცვით ჩატარებაზე. კერძოდ:

- ✓ საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან არასაკმარისი ძალისხმევა, საარჩევნო პროცესების მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლების მიზნით;
- ✓ ყველა დონის საარჩევნო ადმინისტრაციის პროფესიონალი წევრების (უპარტო) მიუკერძოებლობისა და ნეიტრალურობის საკითხი;
- ✓ საარჩევნო ადმინისტრაციაში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების მიერ ადმინისტრაციული პლათფორმის გამოყენება პოლიტიკური განცხადებების გასაკეთებლად და კონსტრუქციულობის ნაკლებობა მათი მხრიდან;
- ✓ საარჩევნო ადმინისტრაციის არასაკმარისი გამჭვირვალობა, ადმინისტრაციის ყველა დონეზე.

დამოუკიდებელი დამკვირვებლების დაშინების ფართოდ გავრცელებულმა შემთხვევებმა, არჩევნების დღის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეაფერხა ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების უნარი მიუკერძოებლად შეესრულებინათ მათი მონიტორინგის ფუნქცია – რაც ზიანის მომტანია გარდამავალ პერიოდში მყოფი ქვეყნისათვის.

საარჩევნო ადმინისტრაცია ყველა დონეზე განიცდიდა ნეიტრალიტეტისა და ობიექტურობის დეფიციტს.

მიუხედავად საარჩევნო კომისიის მრავალჯერადი მომზადებისა, არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმების ვებ-გვერდზე დროულად განთავსების მიზნით, ოქმები დროულად არ იქნა განთავსებული ვებ-გვერდზე. ამ პროცესმა დაჩრდილა ყველა სხვა ძალისხმევა არჩევნების გამჭვირვალედ ჩატარებასთან დაკავშირებით.

არჩევნების შეფასება მოიცავს წინასაარჩევნო პერიოდის, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომი პერიოდის შეფასებას. „სამართლიანი არჩევნები“ სრულყოფილად დააკვირდა 2008 წლის 3 ნოემბრის აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ყველა სტადიას (წინასაარჩევნო კამპანია, არჩევნების დღე, არჩევნების შემდგომი პერიოდი). ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ არჩევნების დღე და არჩევნების შემდგომი პერიოდი გამოირჩეოდა სპეციფიურობითა და სირთულით. „სამართლიანი არჩევნების“ აზრით, არჩევნების დღეს გამოვლენილმა დარღვევებმა სერიოზული ზემოქმედება იქონია არჩევნების შედეგებზე. წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაციამ არ მოხდინა სათანადო რეაგირება ამ დარღვევებზე, რათა მომხდარიყო შემდგომში ასეთი შემთხვევების პრევენცია.

არჩევნების შემდგომ პერიოდში, საარჩევნო ადმინისტრაციის ქმედებები „სამართლიანი არჩევნების“ საჩივრებთან მიმართებაში 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით გაუარესდა. 2008 წლის

16 ნოემბერს ხელვაჩაურისა და შუახევის საარჩევნო ოლქებში ჩატარებულ არჩევნებზე და განმეორებით არჩევნებზე ხელვაჩაურის ოლქში, „სამართლიანმა არჩევნებმა“ დააფიქსირა საარჩევნო ადმინისტრაციის წევრების არამართებული როტაცია, რომლებიც 2008 წლის 3 ნოემბერს აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს სათანადოდ ვერ ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

რეკომენდაციები

შესრულებულ საქმიანობებზე დაყრდნობით, ორგანიზაციამ ჩამოაყალიბა რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც, საარჩევნო პროცესებს დემოკრატიულ სტანდარტებთან უფრო მიახლოებულს გახდის საქართველოში.

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ შეტანილი უნდა იქნას ცვლილებები;
- აჭარის უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ამომრჩეველთა სიების დახვეწას;
- აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრები უფრო კონსტრუქციულები უნდა იყვნენ, რათა მთლიანი საარჩევნო პროცესი უფრო გამჭვირვალე გახდეს;
- საარჩევნო სიის გაუმჯობესებას, დახვეწას, განახლებას, სიზუსტესა და ყოვილისმომცველობას მუდმივი სახე უნდა ჰქონდეს;
- საარჩევნო ადმინისტრაციას მკაცრად უნდა შეეზღუდოს იმის საშუალება, რომ ნორმატიული აქტების გამოყენებით ცვლილებები შეიტანოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ განსაზღვრული უნდა იყოს საარჩევნო ადმინისტრაციის უფლებამოსილება ისევე, როგორც უნდა განისაზღვროს ანგარიშვალდებულება არჩევნების არაადეკვატურად წარმართვის შემთხვევაში ან კონკრეტული ვალდებულებების არ ადების შემთხვევაში, როგორც ეს კანონით არის განსაზღვრული;
- გაუმჯობესდეს სხავადსხვა საარჩევნო პროცედურები (განსაკუთრებით გამჭვირვალობის კუთხით) და საარჩევნო უბნებიდან შედეგების მიწოდება;
- აჭარის უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საზოგადოებას არჩევნების ოფიციალური შედეგები;
- სპეციალური შესარჩევი კრიტერიუმები უნდა შემუშავდეს საარჩევნო კომისიებში და საუბნო დონეზე წევრთა აყვანისათვის; კომისიის წევრები უნდა შეირჩნენ მათი პროფესიონალიზმის მიხედვით გამჭვირვალე პროცესის მეშვეობით; გათვალისწინებული უნდა იქნას წინა არჩევნების დროს განხორციელებული საქმიანობები;
- უფრო მეტი ძალისხმევა უნდა იქნას გაწეული საარჩევნო ადმინისტრაციის კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის დონის ამაღლებისათვის;

- საარჩევნო ადმინისტრაციამ უნდა ჩაატაროს ამომრჩეველთა ცოდნის ამაღლების კამპანიები, რათა გაზარდოს მათი ცოდნა არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- საარჩევნო უბნებზე გადაღებული ვიდეო ჩანაწერები საჯარო უნდა გახდეს და მისი დროულად ხელმისაწვდომობა ტექნიკურად შესაძლებელი უნდა იყოს;
- რამდენადაც შესაძლებელია, ყველა საარჩევნო უბანში უნდა დამონტაჟდეს ვიდეო კამერები;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ უნდა გაიმიჯნოს სახელმწიფოსა და პარტიის ცნება;
- უფრო ძლიერი კონტროლი უნდა დაწესდეს მოქალაქეთა და საჯარო მოხელეთა ზეწოლისა და დაშინების ფაქტებზე და სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოკვლეული უნდა იქნას და საზოგადოებას უნდა ეცნობოს ყველა ამგვარი ფაქტი;
- საარჩევნო დავების გასაჩივრების ვადა უნდა იქნას გაზრდილი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ უნდა დაიხვეწოს პროცედურები საარჩევნო ადმინისტრაციაში საჩივრების შეტანასა და განხილვასთან დაკავშირებით;
- აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საქმიანობა მაქსიმალურად ინკლუზიური უნდა გახდეს, რომელშიც პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული წევრები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ;
- უნდა მოხდეს იმ საარჩევნო ადმინისტრაციის საჯარო მოხელეების იდენტიფიცირება და პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, რომლებიც დაარღვევენ კანონს ან არ უზრუნველყოფენ კანონის მოთხოვნის შესრულებას.